პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
შაბათი, 24 იანვარი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 17 (705) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის.: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ნერვონეც: ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## კიდევ ერთი გამარჯვება.

20 იანვარს ჩინეთის დედაქალაქში ხელმოწერილი იქმნა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის. ამრიგად ჩვენი მტრების ბანაკს გაწყდა კიდევ ერთი წევრი და გახდა ჩვენი მშვიდობიანი მეზობელი. საბჭოთა-იაპონიის ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისათვის, განსაკუთრებით იაპონიისთვის. იაპონია დღემდის აწარმოებდა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მტრულ, შეურიგებელ პოლიტიკას. როდესაც რუსეთში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი იაპონელებმა ხელთ იგდეს შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილები, როგორც სახალინი და სხვა და ყოველმხრივ ხელს უწყობდენ იქაურ თეთრ გვარდიელებს რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ ძლევამოსილმა წითელ არმიამ ბოლო მოუღო კონტრ რევოლიუციას არა მარტო საბჭოთა კავშირის ცენტრში—რუსეთში, არამედ განაპირა ნაწილებშიც. წითელ არმიის ენერგიული შეტევით განადგურებული იქმნა შორეულ-აღმოსავლეთის ბანდებიც. ასე რომ იაპონელებს გამოეცალათ ყოველგვარი ნიადაგი თავისი კონტრრევოლიუციონური გამოსვლების მოსაწყობად ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ მიუხედავად ამისა იაპონია დღემდის არც არ ანთავისუფლებდა მის მიერ დატაცებულ ტერიტორიას, რომელიც შეადგენს საბჭოთა კავშირის განუყრელ ნაწილს. იაპონიის მთავრობას ეგონა, რომ ის ბოლოს და ბოლოს დააშინებდა საბჭოთა ხელისუფლებას და შეირჩენდა …ართმევ ადგილებს. მაგრამ იაპონელები მოსტყუვდენ ანგარიშში ისე, როგორც სხვები.

საბჭოთა კავშირმა ერთი ნაბიჯიც არ დაიხია თავისი სამართლიანი მოთხოვნილებისაგან და მტკიცედ უცდიდა, სანამ თვით იაპონია არ წავიდოდა დათმობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისი შეურიგებელი პოლიტიკით ჩვენს მიმართ იაპონია თავის თავსაც ბევრს ავნებდა.

როგორც ვიცით იაპონია და ამერიკა დიდი შეურიგებელი მტრები არიან. ორივე ეს იმპერიალიზმი იბრძვის წყნარ ოკეანეზე ბატონობისათვის და ეს ისეთი დიდი დავაა, რომ მათი შერიგება, თუნდაც დროებით შეუძლებელია და წარმოუდგენელიც. ამიტომ, როდესაც იაპონია ამერიკასაც ებრძვის, ჩვენთანაც მტრულ დამოკიდებულებაშია, ცხადია ის ასუსტებს თავის ძალებს. საბჭოთა კავშირი ყოველთვის მშვიდობიანობის და ზავის მოსარჩლეა, მაგრამ როდესაც რომელიმე სახელმწიფო ფიქრობს მისი უფლებების შებღალვას, წაღლეტის პოლიტიკას აწარმოებს, ცხადია მასთან მეზობლური დამოკიდებულების ჩამოგდებაც შეუძლებელი ხდება. მაგრამ საბჭოთა-იაპონიის ხელშეკრულების დადებით ცხადია მდგომარეობა სრულიად შეიცვალა, იაპონიის მთავრობამ შეიგნო თავისი პოლიტიკის უსაფუძვლობა და დაადგა ჩვენთან დაახლოების გზას. ამ მხრივ ხსენებული ხელშეკრულება პირველი ნაბიჯია. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენთვის, ისე იაპონიისათვის.

ამ აქტით ჩვენ მოვიპოვეთ კიდევ ერთი გამარჯვება და მით უფრო განვამტკიცეთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

## გერმანიის ახალი მთავრობა-ნახევრად მონარქისტულია.

გერმანიაში შესდგა ახალი მთავრობა ლიუტერის მეთაურობით.

დიდი ძებნისა და ყოყმანის შემდეგ, როგორც იქმნა დასრულდა მთავრობის კრიზისი და გერმანიას შეეძინა მთავრობა.

მაგრამ ვაი ამისთანა მთავრობას, რომლის შემადგენლობაში შედიან წარსული მონარქისტული მთავრობის ზოგიერთი წევრები. უკვე ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ გერმანიის მთავრობა უაღრესად რეაქციონურია.

ამას თვით სოციალ-გამყიდველებიც გამოსთქვამენ. რეიხსტაგის სხდომაზე სოციალ-დემოკრატ ბრეიტშეიდმა სთქვა—ეხლანდელი მთავრობა ერთი ნაბიჯია მონარქიისაკენო.

მემარჯვენეთა სკამებიდან მან მიიღო კმაყოფილობით აღსავსე პასუხი: „მადლობა ღმერთს რომ ასეაო".

ამრიგად როგორც ვხედავთ მთავრობის კრიზისი დასრულდა რეაქციის გამარჯვებით. და კვლავ ისმება საკითხი: შესძლებს ის გერმანიაში მშვიდობიანობის დამყარებას, გააუმჯობესებს მასების მატერიალურ მდგომარეობას?

ცხადია რომ არა. პირიქით ის უფრო გაამწვავებს ყველა ამ ჭრილობებს, რომლითაც დაავადებულია გერმანიის სახელმწიფო დიდიან იმპერიალისტური ომის გათავებისა. თუმცა ლიუტერი დიდის რიხით იფიცება, რომ ის ხელუხლებლად დასტოვებს მართვა-გამგეობის რესპუბლიკანურ ფორმებს, რომ ის შეუმსუბუქებს მუშებს მატერიალურ მდგომარეობას და სხვა. მაგრამ ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვებია, რომლის მიზანია მუშათა მღელვარების დაშოშმინება და მათი მოტყუილება. ჩვენ კარგად ვიცით ლიუტერის მთავრობის რეაქციონური ბუნების ყველა თვისებები. არავითარი სიკეთე და დახმარება არ მოელის მისგან გერმანიის პროლეტარიატს, გარდა პოლიტიკური უფლებების შეკვეცისა, გაჭირვების გადიდების და ისედაც უმწეო მდგომარეობის გაუარესებისა. და ყოველივე ეს მას მოუვიდა სოციალ-გამყიდველების წყალობით, რომლებმაც თავისი შემთანხმებელი პოლიტიკით მიიყვანეს საქმე იქამდი, რომ ხელი შეუწყვეს ნახევრად მონარქიის გაბატონებას.

და როგორც წინედ, ისე ეხლაც უფრო მწვავედ, უფრო დაჟინებით გერმანიის მუშათა კლასის წინაშე მთელი სიგრძე—სიგანით იჭრება საკითხი: ხსნა მხოლოდ დაუნდობელ ბრძოლაშია ბურჟუაზიის წინააღმდეგ. სხვა გზა გერმანიის მუშებისათვის არ არსებობს. ადრე თუ გვიან ისინი დაადგებიან ამ გზას და მათი ბელადი, წინამძღოლი იქნება არა გამცემლური სოციალ-დემოკრატია, არამედ რევოლიუციონური კომუნისტური პარტია.

—ე.

## რ. კ. პ. (ბ.) ცენტრალურ კომიტეტის დადგენილება ამხ. ტროცკის შესახებ.

რ. კ. პ. (ბ.) ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებით ამხ. ტროცკი მოხსნილია სამხედრო სამუშაოდან. ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია უთანხმოებით ამხ. ტროცკის და ცენტრალურ კომიტეტის შორის, რომელიც პარტიასა და საბჭოთა კავშირის მმართველობაში ატარებს მტკიცე ლენინის ხაზსა.

## ჩინეთის ელჩის თანაგრძნობის წერილი.

ჩინეთის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში ლი—ტია—აომ მიმართა ამხ. ჩიჩერინს წერილით, რომელშიაც ის გამოსთქვამდა თანაგრძნობას ლენინის გარდაცვალების წლის თავზე პროლეტარიატის ბელადის დაკარგვის გამო.

ამასთან ერთად ლი—ტია—აომ აცნობა, რომ მგლოვიარობის ნიშნად წარმომადგენლობის შენობაზე ჩამოშვებულ იქნა ჩინეთის დროშაო.

## როგორ ჩატარდა ლენინის გარდაცვალების წლის თავი საბჭოთა კავშირში.

მოსკოვში.

### ქვირფას საფლავთან.

ლენინის გარდაცვალების წლის თავის დღეს, კრემლის კედელი, აკლდამის პირდაპირ მორთული იყო ლენინის დიდი სურათებით, რომელზედაც იყო შემდეგი წარწერა „ლენინიზმი სცოცხლობს, იმარჯვებს და გაიმარჯვებს". მთელი დღის განმავლობაში ძაძით მოსილი დროშებით მოდიოდა ზღვა ხალხი ლენინის საფლავზე.

ლენინის საფლავზე მორიგეობდენ საპატიო დარაჯები, რომლებიც იცვლებოდენ ყოველ 15 წუთში.

### ხარკოვში.

მთელი ხარკოვი დილიდანვე ძაძებში იყო გახვეული. მთელი დღის განმავლობაში ქალაქში ღრიალი გ ჰქონდა მრავალ რიცხოვან ქარხნების საყვირებს. მრავალ ფაბრიკა-ქარხნებმა და საბჭოთა დაწესებულებებმა აიღეს ამ დღეს შეფობა სოფლებზე.

გაზეთები გამოვიდა სამგლოვიარო ჩარჩები. მთელ პრესას მოჰყავს უილიჩოდ მუშაობის წლიური ანგარიში უკრაინაში.




ჩიჩერინი.—ხელშეკრულების დადება იაპონელმა მოასწრო მაგრამ.. ცნობა მგონი ამერიკამ მოასწროს...

## იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ.

### საუბარი ამხ. ჩიჩერინთან.

იაპონიის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა: 20 იანვარს პეკინში დადებული შეთანხმება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ საბჭოთა კავშირის უბრალო ცნობა კიდევ ერთი მთავრობის მიერ.

ეს არა მარტო დასაწყისია ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობის, არამედ ეს არის ნამდვილი გარდატეხა შორეულ აღმოსავლეთისა და საზოგადოდ თანამედროვე პოლიტიკაში. ჩვენთვის ეს არის ინტერვენციის, სამოქალაქო ომის და მოუგვარებელ ურთიერთობის დასასრული შორეულ აღმოსავლეთში. ეს არის ჩვენი მდგომარეობის უეჭველი განმტკიცება შორეულ აღმოსავლეთში.

იაპონიას ეს ხელშეკრულება უქმნის მეგობრულ იმედს საქმის გართულების შემთხვევაში.

თუ მეფის მთავრობა თავის დროს აგრესიულ და თავდასხმითი პოლიტიკას აწარმოებდა იაპონიის მიმართ, საბჭოთა მთავრობის არსებობის პირველი დღიდანვე თავდამჭერელ პოლიტიკით საბჭოთა კავშირის მიმართ გამოდიოდა იაპონიის მთავრობა.

მაგრამ ამ პერიოდს მოეღო ბოლო და იაპონიის ხალხის ფართე მასებმა შეიგნეს საბჭოთა კავშირთან მეგობრობის მნიშვნელობა.

ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენსა და იაპონიის წესწყობილების შორის, ჰბადებს დიდ განსხვავებას პრინციპებშიც, რომლებიც საფუძვლად უდევს ორივე ქვეყნის პოლიტიკას.

ჩვენ იმედი გვაქვს იაპონიის მთავრობის ლოიალობისა და მასაც შეუძლია იმედი იქონიოს ჩვენი მხრიდან. რასაკვირველია არც ერთი მხარე არ დაარღვევს ვალდებულებებს და მკტიცედ დაიცავენ ერთი მეორის საქმეში ჩაურევლობის პრინციპს.

## პროვინციებში.

კიევიდან, ოდესიდან, ეკატერინოსლავიდან, არტემოვკიდან იტყობინებიან:

21 იანვრის მთელი ქუჩები მორთული იყო სამგლო-

ვიარო დროშებითა და ლენინის სურათებით. ეკატერინოსლავში გახსნეს ლენინის ძეგლი.

ყველა სოფლებში ჩატარებულ იქნა ილიჩის ხსოვნის სალამოები.

## ახალ სენაკში.

19 იანვრიდან დაიწყო ლენინის ხსოვნის კვირეული. ქალაქში და ყველა თემებში ტარდებოდა სამგლოვიარო კრებები. მაზრიდან გაგზავნილ იქნა თემებში 20 ამხანაგი სამგლოვიარო დღის ჩასატარებლად.

---

## საზეიმო სხდომა მთავარ თეატრში

მოსკოვის მთავარ თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

სხდომაზე მოიყარა თავი დიდძალმა ხალხმა.

აქ იყვნენ სოფლებიდან ჩამოსული გლეხი დელეგატები. ტრიბუნაზე აღმართული იყო ლენინის დიდი სურათი. ლენინის გარდაცვალების წუთს ორკესტრმა შეასრულა სამგლოვიარო სიმფონია.

### კამენევის სიტყვა.

შემდეგ ილაპარაკა კამენევმა, რომელმაც დაახასიათა ლენინი, როგორც პროლეტარიატის ბელადი. სიტყვის დასასრულს კამენევმა განაცხადა: „30 წელი იდგა ილიჩი ჩვენი პარტიის სათავეში. პირველად პარტია პატარა წრე იყო, რომელიც თანდათან გაძლიერდა თავის ბელადის ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ პარტიას დღეს თამამად შეუძლია სთქვას: „ილიჩის მემკვიდრეობას ჩვენ არ დავლუპავთ. მის ანდერძებს ჩვენ არ გავივიწყებთ. დროშის დაბლა დაშვების ნებას არავის მივცემთ. მისი დროშა ხელში უჭირავს მსოფლიო პროლეტარიატს. ჩვენც გვწამს, რომ სადაც კი მოიპოვებიან მშრომელები, ჩვენს გადაძახილზე: „ლენინელნო, ბრძოლისაკენ!" ჩვენ გვიპასუხებენ: „ჩვენ მზად ვართ".

### რაკოვსკის სიტყვა.

შემდეგ ილაპარაკა რაკოვსკიმ ლენინის ნაცნობობის მოგონებიდან. მან მოიყვანა ის მომენტი, როცა ლენინმა 1918 წელში განუცხადა გერმანიის ელჩს —მირბახს: „ჩვენ შიგნით ძლიერი ვართ და არ მოგველის არავითარი საფრთხე. საფრთხე გვიქადის ჩვენ თქვენგან და მოკავშირეებისაგან."

„დღეს—განაცხადა რაკოვსკიმ—ასეთივე მდგომარეობაა. ჩვენ შიგნით გავძლიერდით. საფრთხე შესაძლებელია მხოლოდ გარედან. გამარჯვება ჩვენზეა დამოკიდებული."

### ბუხარინის სიტყვა.

რაკოვსკის შემდეგ ილაპარაკა ბუხარინმა.

„ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოდ ჩვენი დიადი ბელადით. წლითი-წლობით გაიზრდება ლენინის ფიგურა და მისი ძლიერი გავლენა. ჩვენ დავკარგეთ ლენინის სახით კაცი, რომელიც წარმოადგენდა მომავალი ადამიანის სახეს. ლენინი არ არის ჩვენ შორის, მაგრამ მისი სული თავს დაგვტრიალებს.

მაშ გაუმარჯოს და სცოცხლობდეს ლენინი!"

### თანაგრძნობის დეპეშები.

კამენევი კითხულობს გერმანიის კომპარტიის ცეკადან და რკპ-ს ცეკადან გამოგზავნილ თანაგრძნობის დეპეშას.

დეპეშებში გამოთქმულია ღრმა მწუხარება დიადი დანაკლისის გამო.

## პანების პოლონეთში.

### სკშინსკი ჰელსინგფორსის კონფერენციის შესახებ.

გაზეთებში გამოქვეყნებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სკშინსკის განცხადება, რომელიც დიდ მნიშვნელობას მიაწერს ჰელსინგფორგში დადებულ საარბიტრაჟო (სამედიატორო წესი) კონვენციას პოლონეთს, ლატვიას, ესტონეთს, ფინეთს შორის.

სკშინსკი ბალტიის კონფერენციის შესახებ ამ დღეებში გააკეთებს მოხსენებას სეიმის საგარეო საქმეთა კომისიაში.

### პოლონეთ-დანციგის განხეთქილება.

ვარშავის ვაჭართა კავშირმა აცნობა დანციგის ბაზრობის (იარმუკა) გამგეობას, რომ პოლონეთ-დანციგის განხეთქილების გამო, პოლონეთის შეკავშირებული ვაჭრები არ მიიღებენ მონაწილეობას დანციგის ბაზრობაში.

### ძველ თანამდებობაზე.

„ვიზვოლენიეს" ჯგუფმა მიიღო დადგენილება ეცადონ, რათა დაბრუნებულ იქნას არმიაში პილსუდსკი.

---

## ლანცუცკის დაპატიმრების შესახებ.

პოლონეთის კომფრაქციამ მიიღო ეხლახან დაპატიმრებულ კომუნისტურ დეპუტატ ლანცუცკისაგან წერილი, რომელსაც აგზავნის ის პერემიშლის ციხიდან.

ლანცუცკი იწერება, რომ ციხის ადმინისტრაცია არ აძლევს ნებას მის ცოლს გადასცეს მას საჭმელი.

ამასთან მას არ აკითხებენ არაფერს, გარდა ორი ბურჟუაზიული გაზეთისა და იმათშიც შლიან ან სჭრიან ყველაფერს, რაც კი მუშათა მოძრაობას ეხება. ლანცუცკის აზრით მისი პროცესი (გასამართლება) დაიწყება თებერვალში.

---

## შეშინდა,

### კუკი გაურბის უმცირესობის კონფერენციაში მონაწილეობას.

სამთო-მადნო მუშათა კავშირის მდივანმა კუკმა განაცხადა, რომ ის არ ითავმჯდომარებს ინგლისის მუშათა მოძრაობის უმცირესობის კონფერენციაზე, რომელიც დანიშნული იყო 24 იანვარს და გადატანეს 25-სთვის. კუკს მოჰყავს მიზეზი, რომ ის ადრევე შეჰპირდა გამოსულიყო 25 იანვარს სამთო-მადნო მუშების კრებაზე იორკშირში.

მუშათა მოძრაობის უმცირესობის ოპოზიციურ წრეებში სრულიად არ გამოუწვევია კუკის განცხადებას გაკვირვებაა, ვინაიდან თავიდანვე მოელოდენ, რომ კუკი რაიმეს მოიმიზეზებდა და უარს იტყოდა თავმჯდომარეობაზე.

## ქართულ სამხედრო ლიტერატურის შექმნას ხელი უნდა შევუწყოთ.

რომ ჩვენ სამხედრო ლიტერატურით ღარიბი ვართ და თითქმის სრულებით არა გვაქვს ის, ყველასათვის ცხადია.

დღეს, როდესაც ჩვენ დიდი სარბიელი გვაქვს სამხედრო ლიტერატურის შექმნისათვის, მაქსიმუმი ენერგია და შრომა უნდა გამოვიჩინოთ.

მე არ შევუდგები ქართული სამხედრო ლიტერატურის მნიშვნელობის განმარტებას, ვინაიდან ეს ყველასათვის ცხადი და თვალსაჩინოა.

ქართულ სარედაქციო კოლეგიის დაარსებით, რომლის მოვალეობას შეადგენს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოებისა და წესდების გამოცემა, ჩვენ დიდი ნაბიჯი წავსდგით წინ. ჩვენ უკვე მოგვეპოვება სახელმძღვანელოები, როგორც სკოლაში ისე ერთეულებში, გვაქვს უკვე უმეტესობა წესდებისა ქართულ ენაზე.

მაგრამ სარედაქციო კოლეგიამ ამით არ დაკმაყოფილდა. მან განიზრახა ქართული სამხედრო პერიოდიული ჟურნალის გამოცემაც; მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა, მან მიზანს მიახწია და ჩვენ უკვე ვიხილეთ ოთხი ნომერი „წითელი გუშაგისა".

ჟურნალი ჩემის აზრით აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნილებას, პირველ ხანებისათვის მაინც. შეიძლებოდა მისი გაუმჯობესებაც მომავალში.

დიდი იყო მისი სარგებლობა ჩვენი მეთაურთათვის.

მაგრამ როგორც ვიცით, უსახსრობის გამო ჟურნალმა შეწყვიტა თავისი არსებობა და ვფიქრობთ რომ მე-5 ნომერს ჩვენ ველარ ვიხილავთ.

ჯერი ჩვენზეა. სარედაქციო კოლეგიამ გააკეთა ის რისიც გაკეთება შეეძლო.

მას სახარი არ აქვს განაგრძოს ჟურნალის გამოცემა. დავეხმაროთ მას და ნუ შევწყვეტთ ჟურნალის არსებობას.

გავმართოთ ხელის მოწერა ხსენებულ ჟურნალზე. გამოვიწეროთ თვითეულმა ჟურნალი და მით შევიტანოთ ჩვენი წვლილი. მე მეტსაც ვიტყოდი ჟურნალის გამოწერა სავალდებულოთაც გავხადოთ ყველა სამხედრო მოსამსახურეთათვის გარდა წითელ არმიელებისა. გადავიხადოთ თვეში ათი შაური ეს თანხა არც ისე დიდია.

ამით შესდგება ნაწილი საჭირო თანხისა დანარჩენი შეიძლება კოლეგიამ მიიღოს სხვა და სხვა სამოქალაქო დაწესებულებისა და წიგნსაცავებისაგან ჟურნალის გასაღებით.

საჭირო იქნება ხსენებული ჟურნალის გავრცელება მოქალაქეთა შორის.

ეს ჩვენ საშვალებას მოგვცემს გავაიაფოთ ჟურნალი და მანეთის მაგივრათ გადავიხადოთ ათი შაური ან უფრო ნაკლები.

ჩემის აზრით კარგი იქნება; რომ ამას სათანადო ყურადღება მიაქციოს სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებებმა და პოლიტ-განყოფილებებმა ორივე დივიზიისამ, რის მეოხებით უნდა მოხდეს ჟურნალის გავრცელება.

კარგი იქნება, რომ ამხანაგები ამ წინადადებას გამოეხმაურებოდეს და თავის აზრს გამოსთქვამდეს დასმულ საკითხზე.

საჭიროა ვიცოდეთ სარედაქციო კოლეგიის აზრიც.

მ. გ.

## ტანსაცმელის ფორმის შესახებ.

### (არმიის სარდალის—ამხ. პუგაჩოვის წერილი).

საკითხი წითელ არმიაში ტანსაცმელის ფორმის შესახებ ერთ-ერთი მტკივნეულ საკითხთაგანია. მეტად ხშირად ირღვევა შემოღებული ფორმის წესები.

არა ერთხელ ყოფილა გაცემული ბრძანება, მაგრამ ამაოდ. როგორც სჩანს, მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა არ აქცევს სათანადო ყურადღებას ფორმის მნიშვნელობას.

ამავე დროს კი ტანსაცმელის ფორმის დაცვა სამხედრო ნაწილის და მისი ცალკე წევრების დისციპლინის მაჩვენებელია.

დამახასიათებელია ის, რომ მთელ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში შემჩნეულია ორი გადახრა ტანისამოსის ფორმის ტარების წესიდან: გადაჭარბებული კოპწიაობა და დაუდევრობა-უსუფთაობა. ამ ორივე შემთხვევაში არსებული წესის დარღვევა გამოიხატება ტანისამოსის იმ ფორმის ტარებაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული და შემოღებული. გადაჭარბებული კოპწიაობა გამოიხატება მყვირალა გარეგნობის ტანისამოსის, განსაკუთრებით შარვლების შეკერვაში, განსაკუთრებული დეზების ტარებაში, სხვა და სხვა ფერადი ზოლების დაკერებაში შარვალზე და სხვა; ამ მხრივ განსაკუთრებით განირჩევა მეთაურთა შემადგენლობა და იშვიათად პოლიტიკური მომუშავენი. დაუდევრობას და უსუფთაობას უფრო ხშირად აქვს ადგილი, ვინემ კოპწიაობას. მაგალითად ხშირად შეგხვდება არმიელი ჩამოწყვეტილი ღოგმებით და ფოლაქებით, გაუწორებელი ფარაჯით და სარტყელით, გახსნილი ფარაჯით, უწესოდ თავდახურული, ზაფხულობით გულგადეღილი და სხვა; ასეთი დაუდევრობა განსაკუთრებით ახასიათებს პოლიტმომუშავეებს, რომლებიც ხშირად ყოყოჩობენ თავისი უწესო ჩაცმულობით. მაგრამ ხშირად მას ადგილი აქვს მეთაურთა შემადგენლობაშიც.

რატომღაც სამხედრო მოსამსახურეებს არ მოსწონთ ჩაფხუტი და ბევრი სცდილობს შესცვალოს ის ქუდით, მიუხედავათ იმისა, რომ ქუდის („ფურაჟკა") ტარება დაწესებულია ზაფხულში. მაგრამ ეს ქუდიც უნდა იყოს ფორმის და არა სანებური. ზაფხულობით ჩვენ ვხვდებით სამხედრო მოსამსახურეებს სხვა და სხვა გვარ ფორმის ქუდებში, ხშირად ფორმის დაცვითაც—სხვა და სხვა ფერ „კეპკებში".

ყოველივე ეს უარყოფითი მაგალითია წითელ არმიელისთვის, რომელიც, როცა ხედავს თუ როგორ იცვამენ მისი უფროსი ამხანაგები, არ აძლევენ არავითარ მნიშვნელობას ფორმას; ვინაიდან წითელ არმიელს არ აქვს კოპწიაობის საშუალება და უხდება დაკმაყოფილდეს მიცემულ ტანსაცმელით, მისი უყურადღებობა ტანისამოსის ტარებაში გადადის სიბინძურეზე და მიდის იქამდის, რომ ტანისამოსის მოფრთხილებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

გახსნილი ფარაჯა, გვერდით დახურული ჩაფხუტი, გაღეღილი მკერდი, მოშვებული ტოლადები, გაუწმენდელი ფეხსაცმელები—ყველაფერი ეს უფაქიზობისა და დაუდევრობის შედეგია, თავის თავის მოურიდებლობა და უპატივცემლობაა, ვინაიდან გარეგნობის მიხედვით აფასებენ ადამიანის სულიერ ღირსებას არა მარტო ჩვენი მტრები, არამედ მთელი მასა და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება—თითქოს წითელი არმია ცუდათ იყოს ჩაცმული, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

შეიძლება ბევრმა ამხანაგმა სთქვას, რომ ყველაფერი ეს წვრილმანია, რომელსაც არც კი ღირს მიაქციო ყურადღება, ვინაიდან ჩვენი არმია პროლეტარულია და მისი გარეგნული სახე უნდა შეეფერებოდეს მის შემადგენლობასო. ასეთი შეხედულება სრულიად შემცდარია. თუ გინდ არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ წითელი არმია-არის სკოლა, სადაც უნდა აღზრდილ იქნას გრძნობა სახალხო ქონების გაფრთხილებისა და სიფაქიზის, რომელიც არ არის იმ დენად განვითარებული საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში, უყურადღებობა და დაუდევრობა ტანსაცმელის ხმარებაში ხშირად ზიანს მოუტანს ნაწილს საბრძოლო მდგომარეობის დროს. ავიღოთ ნაწილი, რომლის წითელ-არმიელებს არ აქვთ კარგად შესწავლილი ტოლადების დახვევა; შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ასეთ ნაწილს სალაშქრო მოძრაობის დროს მრავალი წითელ-არმიელი ჩამორჩება და გაცილებით მეტ დროს მოანდომებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას, ვინემ წესდებაში არის გათვალისწინებული; უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება ასეთი ნაწილი ბრძოლის დროს: აქ ან სრულიად უნდა მოიშორონ წითელ-არმიელებმა ტოლადები, ან და შეჩერდენ რომ გაისწორონ ისინი, ხოლო ეს კი ზედმეტ ზიანსა და მსხვერპლს მოუტანს ნაწილს.

ამრიგად საკითხი ტანისამოსის ფორმისა და სიფაქიზის შესახებ არც ისე მცირე მნიშვნელოვანია, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს პირველი შეხედვით; უკანასკნელი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ეს არ ის ერთი იმ წვრილმანთაგანი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არმიის ბრძოლის უნარიანობაზე.

საჭიროა გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა ტანისამოსის ფორმის წესების დარღვევას. წითელ არმიაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი არც გადამეტებულ კოპწიაობას, რომელიც ამტკიცებს ფუქსავატობას, და არც უფაქიზობასა და სიბინძურეს, რომელიც წარმოადგენს გადამდებ სენს და დაეტყობა გარეგნობისა და დისციპლინის მდგომარეობას.

ბრძოლის ზომებად შეიძლება იყოს შემდეგი:

1. მაგალითის ჩვენება მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მხრივ ფორმისა და ტანსაცმელის წესიერად ხმარებაში; 2. ამხანაგური დარიგებით გავლენა ზოგიერთ პოლიტმომუშავეებზე და მეთაურებზე, რომლებიც არ ასრულებენ ბრძანებას; 3. დილის გასინჯვის დროს წითელ-არმიელთა ტანსაცმელისა და ფეხსაცმელების ყურადღებით დათვალიერება უსუფთაობისა და დაუდევრობის მოსპობის მიზნით; 4. განაკლის შემთხვევაში დაუდევართა აღნიშვნა შავ დაფაზე და დისციპლინალური წესით დასჯა ტანსაცმელის ხმარების და ფორმის წესების დარღვევისათვის.

ამ ბრძოლისაკენ ჩვენ მოვუწოდებთ მეთაურებს, პოლიტიკურ მომუშავეებს და თვით წითელ-არმიელებს.




## ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო მეთაურთა სკოლაში.

მეთაურთა სკოლის კლუბში, ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად 21 იანვარს გამართული საღამო მეტად შინაარსიანად ჩატარდა. საღამო შესდგებოდა ექვსი პატარა განყოფილებისაგან, რომლებიც მსხვერი სურათებით თავდებოდნენ.

პირველ სურათში გვიჩვენეს გასული 1924 წლის 9 იანვრისათვის მზადება და უეცარი ლენინის გარდაცვალების ამბავი.

ლენინის გარდაცვალების ამბავმა თავზარი დასცა კურსანტებს; ყველა გაქვავდა... მაღლიდან ჩამოდის გარდაცვალებულის პორტრეტი ტრაურით და შავი ბიულეტენით: (ამხ. ლენინი გარდაიცვალა 21 იანვარს საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე).

სურათი მეტად ლამაზი და ორიგინალური გამოდგა, რომლის დასასრულსაც ერთმა კურსანტმა შეასრულა სოლო „მოკვდა ლენინი".

მეორე სურათი (მოქმედება) გრძელდა პარტერში. ამ სურათის წინ უძღოდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განცხადება—ბელადის გარდაცვალებაზე.

შემდეგ დაიწყო კოლექტიური დეკლამაცია ფანდურით: „დავკარგეთ მუშებო გმირი, დავკარგეთ ქვეყნის თვალიო". შემდეგ კოლექტიური ლექსი, რომელიც კარგათ იქნა შესრულებული, განსაკუთრებით ადგილი—დარბაზში, რომ გაიტრიალდა ხმა: „ამხანაგი ლენინი გარდაიცვალაო!"

მეორე სურათი დასრულდა ღველიანი სტვირით, რომელიც მღეროდა:

„არ მომკვდარა ვინც მუშა-
გლეხს
ძმურად თავი შეაყვარა"...

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ჰანგების ფანდურზე და სტვირზე გადატანამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც კლუბის უფროსებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

მესამე სურათი დაიწყო „9 იანვრისა და „21" იანვრის ტაბლოებით; დაიდგა ბალანჩივაძის პიესის „9" იანვრის მე-თე მოქმედება; რაც დრამატიული აღმოჩნდა. ლამაზი იყო მოქმედების წინ (ქუჩაში) მუშების ჩოჩქოლი და მზადება „უმანკო სისხლის ასაღებად"... ამ მოქმედებას მიჰყვა „ლენინის გარდაცვალების ამბავი"... „რადიო" „კომპარტიის გავლენის ზრდა" და „ბურჟუების გაცრუებული იმედები". ეს უკანასკნელიც ძალიან მოხდენილ ადგილას იყო—რომ „ბურჟუებს" ცოტა არ გადაეჭარბებიათ. სურათს მიჰყვა ინდივიდუალური და კოლექტიური დეკლამაცია „ლენინი და ისტორია". ყველა ეს სურათები სხარტად ჩატარდა და დამთავრდა „ლენინის ანდერძით". ამ უკანასკნელი სურათის სილამაზემ თითქმის ყველა დანარჩენ სურათებს გადააჭარბა.

მოქმედება იწყება ლენინის ბრძოლის შეფასებით, მოგონებებით—პარტერში, და როდესაც სცენიდან ერთი ამხანაგი გამოდის მოწოდებით: ვინც არჩეული ხართ, წარსდგეთ ლენინის დროშის წინაშე—აქ ამოდით, აქედან ილაპარაკეთო. პარტერიდან უპასუხებენ: „ამხანაგო რეჟისორო! რადგანაც ჩვენი უკვდავი ბელადი—ხალხის შვილია, ჩვენც—ხალხიდან ვიწყებთ მისი მოღვაწეობის მცირე შეფასებას. ახადეთ ფარდა, მანდაც ამოვალთ"!... ფარდა იხდება სწრაფად და მოსჩანს: მორთული სცენა, სამრეწველო ქალაქის წითელ ფონზე ლამაზ ჩარჩოდან წითელი და შავი მატერიით მორთული ილიჩის ბიუსტი. მუშას და გლეხს უჭირავს შესაფერი ემბლემა. გაისმის ილიჩის საყვარელი სიმღერა: „მებრძოლნო გავსწიოთ მწყობრად!".. და პარტერიდან ადიან სცენაზე, რათა წარსდგენ ლენინის დროშის წინაშე და ერთად გაიმეორონ ბელადის ანდერძი, დასდონ ფიცი... უკანასკნელი სიტყვები: გფიცავთ, ძვირფასო ლენინ, რომ განვამტკიცებთ მთელი ქვეყნის მშრომელთა კავშირის! გაისმის ერთხმად, რომელსაც „ინტერნაციონალით" აგვირგვინებს...

ასეთი შერჩეული მასალებით საღამოების გამართვა წითელი ჯარის ნაწილების პირდაპირი მიზანი უნდა იყოს.

სასურველია ასეთი შინაარსიანი საღამოს ცენტრალურ კლუბში გადატანა. საღამო დაიწყო ცხრის ნახევარზე და ორ საათს გაგრძელდა. არ ვიცით რას მივაწეროთ, რომ ამ საღამოზე არც ერთი აფიშა—განცხადება არ ყოფილა. ზოგიერთი კურსანტი ექვით უყურებდა: შეიძლება დღეს არ გაიმართოსო. საღამოს გამართვაში მეთაურებიც იღებდენ მონაწილეობას. მხოლოდ საღამოს მონაწილეთა შორის ცხენოსანი გუნდიდან არავინა სჩანდა.

არტილერისტი.

## სანიტ. საღამო.

19 იანვარს, 1-ლ დივ. ცენ. კლუბში სანიტ-განათლების მიერ წითელ-არმიელთა და მუშებისათვის მოწყობილი იქნა სანიტ. საღამო-წარმოდგენა. დაესწრენ 1-ლ ლეგიონის, მე-6 ტერ. ლეგიონის, სამხედრო პოლიტსკოლის, ცალკე მესანგრე და საკავშირო ასეულების წითელ-არმიელები (პოლიტ-შემადგენლობა და მეთაურნი ნაკლებად სჩანდენ) და მუშა მოსამსახურენი მრავალ სახელმწიფო დაწესებულებიდან და ქარხნებიდან.

წარმოდგენის წინ ექ. ლომოურმა ყველასათვის გასაგები ენით წაიკითხა ლექცია, საერთოდ სანიტარიაზე. ექიმს გზა და გზა მოჰყავდა მაგალითები ჩვენი სოფლების ცხოვრებიდან, სადაც ცრუ-მორწმუნეობის გავლენით, რომელსაც მღვდლები და მკითხავები უწყობენ ხელს, გაურბიან სანიტარიას, ექიმებს და ნადგურდება ხალხი. ბოლოს ის შეჩერდა ბავშვთა ავადმყოფობაზე, რომელმაც მარტო ქიზიყის ერთ სოფელში, შილდაში, ერთი წლის განმავლობაში სამასი ბავშვი უმსხვერპლია.

ასეთ ავადმყოფობას ეკუთვნიან ქუნთრუშა, მუცელა წითელა, ყივანა ხველა, ყვავილი და სხვა, რომელსაც ჩვენი ხალხი უწოდებს საერთოდ, „ბატონებს," და მოუწოდა დამსწრეთ სანიტ-განათლებისკენ, რათა პოლიტიკურ ცოდნასთან ერთად ამ დარგშიც შესაფერი ცოდნა მიეღოთ.

ლექცია ფრიად შინაარსიანი იყო. ლექციის შემდეგ წარმოდგენილი იქნა მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ ს. წერეთლის 3 მოქ. სანიტ პიესა „შავი ბატონები".

საღამოზე უკრავდა 1-ლ ლეგიონის მუსიკა. საზოგადოთ ჩვენს კლუბში გამართულ საღამოებს თანსდევს ერთი ნაკლი და განსაკუთრებით ამ საღამოს, რის გამო როგორც ექიმმა, ისე მსახიობებმა უარი განაცხადეს შემდეგ გამოსვლებზე თუ კიდევ ასეთი უწესოებანი განმეორდა, როგორსაც აქ აქვს ხოლმე ადგილი.

საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი წითელ-არმიელი ვერ სდგას ზნეობრივად თავის სიმაღლეზე. ლექციის და წარმოდგენის დროს უთავბოლო ხმაურობის ატეხით და უწმაწურ სიტყვების წარმოსთქმით ძლიერ არღვევენ წესიერებას ამას აქედანვე უნდა ყურადღება, რათა შემდეგში მაინც აღარ განმეორდეს.

ამისათვის კი უნდა იზრუნონ ნაწილებშივე.

ყველას მოვალეობას შეადგენს წითელ-არმიელის ზნეობრივად აღზრდა.

ს—ნ.

## ჩვენ სამხკორთა შორის.

**ზოგიერთ სამხკორების საყურადღებოთ.**

ამ უკანასკნელ ხანებში პირველ ლეგიონიდან ძლიერ გახშირდა წერილები გაზ. „წითელ არმიელის" ფურცლებზე. ეს გარემოება ძლიერ სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ძლიერ აფხიზლებს ნაწილების ცხოვრებას და ყურადღება ექცევა ყოველგვარ დეფექტებს. მაგრამ ჩვენს სამხკორებს არ უნდა ავიწყდებოდეთ ერთი გარემოებაც. არ უნდა სწერონ ისეთ წვრილმანებზე, რომლის გამოსწორება იმ წამსვე შეიძლება ადგილობრივად. მეორე ხშირია ასეთი შემთხვევები: მაგალითად სამხკორი სწერს რაიმე ნაკლულევანებების ან დაუდევრობის შესახებ და ყველაფერში ამტყუნებენ სამნეო ნაწილის უფროსს, როდესაც ხშირად სამნეო ნაწილის უფროსი აქ არაფერ შუაშია და უფრო ნაწილის უფროსი არის თვით დამნაშავე. საჭიროა კარგად გაარკვიონ ამხანაგებმა თუ ვისი დაუდევრობის ბრალია ნაწილში არსებული დეფექტები კარგად შემოწმებული და მართალი ფაქტის შესახებ წერა ძლიერ ასწევს ჩვენს სამხკორების პრესტიჟს. ეს მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული.

სამხკორი შ. კვინიკაძე.

## მეტი ყურადღება სამხედრო მაგიდებს რაიონებში.

გასული 1924 წლის დასაწყისიდან თითქმის ყველა რაიონების აღმასკომებთან გახსნილია სამხედრო მაგიდები და დანიშნულია მათი გამგეები, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას სამხედრო კომისარიატების დირექტივების მიხედვით, თანახმად სრ. საქ. ცაკის გ. წ. № 74 დადგენილებისა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის და ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარის მიერ დამტკიცებულია სათანადო დებულება, რომლის მე-12-ტე მუხლის მიხედვით სამხედრო მაგიდის საკანცელარიო ნივთებით დაკმაყოფილება და საფოსტო ხარჯების დაფარვა ევალება იმ რაიაღმასკომებს, სადაც ისინი არსებობენ.

აჭარისტანის ფარგლებში ეს საკითხი დღესაც არ არის მოგვარებული ხშირია შემთხვევები რომ სამხედრო მაგიდის გამგეები პატაკით მიმართავენ სამხედრო კომისარიატს, რომ მათ ადგილობრივი რაიაღმასკომების და რაიონების მილიციის უფროსები საკანცელარიო ნივთების მიცემაზე ცივ უარს უცხადებენ, რითაც ძლიერ ფერხდება მათით მუშაობის ნორმალური მსვლელობა.

სამხედრო კომისარიატმა რამდენიმეჯერ მიმართა ამის შესახებ აჭარისტანის შინაგან საქ. კომისარიატს სათანადო დებულებების დართვით, მაგრამ დღემდის ეს საკითხი მოუწესრიგებელია. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ადგილობრივად სამხედრო მაგიდის გამგეების მუშაობას, ვინაიდან მათი საქმის ნაყოფიერ მსვლელობაზე დამყარებულია სამხედრო მზადების საქმის მოწესრიგება.

სამხკორი „ყუმელი."

## უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლა.

დიდი ხანი არ არის, რაც აღნიშნული სკოლა შეუდგა თავის მუშაობას.

მეცადინეობა ყოველ დღე სისტემატიურად ტარდება. კურსანტებსაც კარგი დამოკიდებულება აქვთ მეთაურებთან. გაზეთები ყოველ დღე მოგვდის და დიდი დაინტერესებულიც არიან გაზეთის კითხვაში. ამხანაგებს ბევრჯერ მიუმართავთ პოლიტხელისთვის გაზეთიდან ამოღებული გაუგებარი საკითხების შესახებ. არ გვაქვს მხოლოდ ლენინის კუთხე შესაფერისად მოწყობილი. მიზეზი ისაა, რომ არ გვაქვს კუთხის მოსაწყობათ თანხა, პლაკატები და ლოზუნგები. ამის შესახებ ჩვენ სამხკომს ბევრჯერ მიუმართავს პოლიტგანყოფილებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ პარტები არ მიგვიღია. მოგვაქციეთ ყურადღება და მოგვეცით საკმაო თანხა კუთხის მოსაწყობათ.

კურ. ს. ბუბაშვილი.

### ჩვენი მომავალი მუშაობისათვის.

მე-5-თე ქართ. ტერ-ლეგიონის მე-2-რე ასეულმა სენაკის მაზრაში, ადგილობრივ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით, უკვე ჩაატარა ტერნაწილებზე მიწერა.

მართალია მას წინ ეღობებოდა სხვა და სხვა დაბრკოლებებიც, როგორიც არის რაიონებიდან ჩამოსულ ამხანაგების ამ საკითხში გაურკვევლობა და სხვა, მაგრამ ეს დაძლეული იქმნა ამხანაგების მუშაობით და ყოფილი წითელ არმიელების დახმარებით.

მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამით არ შეგვისრულებია ყველა ის, რაც გვაქვს გასაკეთებელი.

რაც გაკეთდა მხოლოდ პირველი ნაბიჯია.

შემდეგისთვის ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

ჩვენი მუშაობა უნდა იქმნეს მიმართული იქითკენ, რომ რაც შეიძლება დაუახლოვდეთ ადგილობრივ მცხოვრებლებს, გავიგოთ მათი ჭირ-ვარამი და შეძლების და გვარად ვეცადოთ რათა შეუმსუბუქოთ მათ გასაჭირი.

მივსცეთ მათ ახსნა განმარტება დღევანდელ მომენტზე და საერთოთ იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც აწარმოებს დღეს საბჭოთა ხელისუფლება ღარიბ გლეხების მიმართ.

ვეცდებით მჭიდრო კავშირი გავაბათ როგორც სამაზრო, აგრეთვე რაიონების და თემების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან, ყურადღება ექცევა ჩვენი ძირითად შემადგენლობის წით. არმიელებს, რომ მათგან გამოვიყვანოთ არა მარტო უმცროსი მეთაურები, არამედ პოლიტ-მომუშავეებიც რაც ძლიერ გაგვიადვილებს მომავალ ჩვენ მუშაობას ახალი ტერ-სისტემის უმტკივნეულოდ ჩატარებაში.

დუმბაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი უჯრედის მუშაობა.

ქართულ მეთაურთა სკოლის ცხენოსან განყოფილებაში 15 იანვარს შესდგა კომ-კავშირის მორიგი დია კრება. კრებას დაესწრო მთელი განყოფილების პარტიული და უპარტიო ამხანაგები. მოსმენილი იქნა მოხსენება კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის შესახებ.

ძველი ბიუროს მოხსენება თავის მუშაობის შესახებ და ახალი ბიუროს არჩევა.

კარლ-ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის 6 წლ. თავის შესახებ, მოხსენება გააკეთა პოლიტ-განვითარების მასწავლებელმა ამხ. ვაშალომიძემ. მომხსენებელმა გააშუქა მათი მოღვაწეობა, მე-2-რე ინტერნაციონალის პოზიცია და მათი როლი, გერმანიის რევოლიუციონერების ბელადების მკვლელობაში. მოხსენებაზე კრებამ სათანადო რეზოლიუცია გამოიტანა.

ძველი ბიუროს მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

შემდეგ არჩეულ იქმნა ახალი ბიუროს შემადგენლობა და ახალი სამხკორები.

სამხკორი. ი. გორგიშვილი.

## კურსანტები ექსკურსიაზე.

ოთხშაბათს 21 იანვარს ქართული გაერთიანებული მეთაურთა სამხედრო სკოლის კურსანტები წაგვიყვანეს ექსკურსიაზე.

უნდა დაგვეთვალიერებია ჯერ მუშათა ცენტრალური კლუბი და შემდეგ კი რკინის გზის მთავარი სახელოსნო.

პირველად ვინახულეთ მუშათა კლუბი, სადაც კურსანტების უმთავრესი ყურადღება

მიიქცია ლენინის კუთხემ. ის მშვენივრად არის მორთული, პლაკატებით ისე ბელადის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგებით. აქვე ვნახეთ სხვა და სხვა გვარი ალბომები ფრიად საყურადღებო წერილებით.

უნდა ითქვას, რომ თუ სავსებით არა ნაწილობრივ მაინც დგას კუთხე თავის მოწოდების სიმაღლეზე, ამის შემდეგ გავემგზავრეთ რკინის გზის სახელოსნოსაკენ.

მისვლის თანავე ერთმა ხელოსანმა შეგვიყვანა ორთქლმავლების სახელოსნოში და აგვიხსნა საერთოთ ორთქლმავლების თვისება.

თუ რა პირობები უნდა იყოს დაცული მემანქანის მიერ მუშაობის დროს, რომ ორთქლმავალი უდროოთ არ გაფუჭდეს და სხვა.

ექსკურსია მეტად ნაყოფიერი შეიქნა.

კ. შ. პაპიძე.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შუბის აგებას და სალტების მოჭერას. თუ თვითეული მათგანი სათანადოთ არ იქნა მოწყობილი აფუჭებს ლულას და ცვლის სროლის სისწორეს,

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზუმბის ხრახნილიან ნაწილს, ურომლისოდ ზუმბა ხშირათ თოფიდან ვარდება.

მისი სალტებით დაჭერა დაუშვებელია ზემოხსენებულის გამო.

უნდა ერიდოთ თოფის დავარდნას ან რამეზე დარტყმას. ეს მოასწავებს ხის ნაწილების გაფუჭებას, კორისა და ნიშნის მოშლას.

ერიდეთ აგრეთვე თოფის ნესტიან ადგილებში შენახვას. ნესტი საშინლად მოქმედობს ხის ნაწილებზე.

თოფი მებრძოლის მხსნელია თოფი მებრძოლის მეგობარია ის უნდა გიყვარდეს მას უნდა მოუარო.

ზ.

# მესამე ლეგიონის საქმიანობა.

## პოლიტიკური მუშაობა.

ლეგიონის ბიურო კოლექტივი იძლევა ყოველ დღიურად საპოლიტსაათო თემებს,

რომელზედაც ყოველდღიურად მიმდინარეობს საუბარი.

მეცადინეობის დროს წითელ არმიელები ორ ჯგუფათაა გაყოფილი: ახალი მოსულები და ძველი მოსულები; თითეულ მათგანთან შესაფერისი პროგრამით სწარმოებს მეცადინეობა.

პოლიტსაათის შეთვისება კარგია. მეცადინეობა სწარმოებს კითხვა პასუხის მეთოდით.

განზრახულია კომპლექსიურ მეთოდზე გადასვლა.

აგრეთვე ბიუროს დაარსებული აქვს პოლიტ-სკოლა სადაც პროგრამის თანახმად ჯერჯერობით გაიარეს სამი თემა.

## სასკოლო მეცადინეობა.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. მეცადინეობას ყოველ დღიურად ესწრება უცოდინარების 90 პროც. ხელძღვანელები თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე დგანან და ნაყოფიც დამაკმაყოფილებელია.

## საკლუბო მუშაობა.

კლუბში დაარსებულია წრეების მთელი რიგი, სადაც უკვე დაწყებულია მეცადინეობა.

გამოდის კედლის გაზეთი და განზრახულია ყოველგვარი იუმორისტული ჟურნალის „წითელი ქამანდის“ გამოშვება.

იდგმება წარმოდგენები. კლუბი დახმარებას უწევს პოლიტხელებს ლენინის კუთხის მოსაწყობად.

## სანიტარული მდგომარეობა.

ლეგიონი სანიტარულად კარგ პირობებშია სისუფთავე დაცულია.

წითელ არმიელებში ყოველ შაბათობით ტარდება სანიტარული საათები რომლებსაც კარგი ნაყოფი გამოაქვს.

## სამნეო დარგში.

სამნეო ნაწილი თავის დროზე აკმაყოფილებს ლეგიონის ნაწილებს. წინათ პური ცოტათი არ იყო კარგი, მაგრამ ეხლა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ჯამაგირები დარიგდა. მეთაურთა და წითელ არმიელთათვის კუთვნილი ტანსაცმელი მიღებულია.

სამხკორი ბოკუჩავა.

# სამხედრო საქმე

## შეიყვარეთ შაშხანა თოფი.

შაშხანა თოფი მებრძოლის საუკეთესო მეგობარია, ამიტომ ის მას უნდა უყვარდეს და იცოდეს მისი მოვლა.

ეს შესაძლებელია მაშინ, თუ კი რომ მებრძოლმა იცის, რომ უმეტეს შემთხვევაში, თოფის გაფუჭების მიზეზი თვითონ არის.

ეს შესაძლებელია მაშინ თუ კი რომ მებრძოლს ჩანერგილი აქვს თოფის ღვაწლი და სარგებლობა, როდესაც ის გაჭირვებაშია ჩავარდნილი, რომ ის არის მისი მხსნელი.

ეს შესაძლებელია თუ კი რომ მებრძოლს შეგნებული აქვს რომ „სახელმწიფოს ძვირათ უჯდება გაფუჭებული თოფების გასწორება, მაშინ როდესაც მის მაგივრათ მას შეუძლია სრულიად ახალი თოფი დაამზადოს და მით შეინახოს სახალხო ქონება.

ამის გამო თვითეული მებრძოლი შაშხანა თოფს ისე უნდა უყურებდეს, როგორც ერთი მხრივ სახალხო ქონებას, მეორე მხრივ თავის კარგს მეგობარს და სათანადოთ უვლიდეს მას.

რაში გამოიხატება ეს მოვლა?

უპირველეს ყოვლისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლულის ღრუს, ვინაიდან მისი გაფუჭება მთელი ლულის გაფუჭებას მოასწავებს, რომლის გამოსწორება თითქმის შეუძლებელია.

მას უნდა წმენდა და დაზეთვა.

მისი წმენდა უნდა ხდებოდეს რბილი საგნით, უმეტეს შემთხვევაში ძენძით, რომელიც რაც შეიძლება რბილათ უნდა იყოს დახვეული საწმენდზე. ღრუში ხშირათ გაუწმენდელობის გამო ჩნდება ჟანგი. ჟანგს მოყვება ხოჭო და ამ რიგათ სრულებით ფუჭდება ლულა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაზეთილ შაშხანა თოფის აწყობასაც, რომელიც აუცილებლათ დადებულ წესით უნდა ხდებოდეს წინააღმდეგ შემთხვევაში გასროლის დროს თოფის სხვა და სხვა ნაწილები ფუჭდება, მაგალითად იღუნება ლულა.

# კავკასიის სამთო-მადნო ამხანაგობის კანტორაზე თავდასხმის საქმის გარჩევა.

1923 წლის 11 დეკემბერს დაახლოებით საღამოს 7 საათზე ტფილისში, სასამართლოს ქუჩაზე კავკასიის სამთო-მადნო ამხანაგობის „კარუტოს“ კანტორის თავს დაესხა შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა 6 კაცისაგან და რომელსაც 10 წუთის განმავლობაში მოუსწრია კანტორის სალაროების გახსნა და მათში ფულის გატაცება, სახელდობრ: 5406 გირვანქა ინგლ. სტერლ, ეფექტივებით, 839 ჩერვონეცისა, 1028 გერმანულ მარკებისა, 134 მანეთისა საბჭოთა ბონებით, 10 ცალი 500 მანეთიანებისა ნიკოლოზის, 1135 ამერიკული დოლარებისა, ოქროს საათისა, 553,650 ათას მანეთის ამიერ-კავკ. ბონები და ჩეკები 14,400 გირ. სტერლინგისა.

მძარცველთა ჯგუფი შესდგებოდა შემდეგი პირებისაგან:

1. ქარუმიძე დიმიტრი პლატონის ძე მთავარი ორგანიზატორი, თავი მოიკლა დატუსაღების დროს.
2. ვანიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე მთავარი ორგანიზატორი, მოკლული იქნა გაქცევის დროს
3, ხრაპკინი ბორის ზინოვის ძე აქტიური მონაწილე.
4. თავართქილაძე გერასიმე ფრიდონის ძე აქტიური მონაწილე.
5. ჯინჭარაშვილი გიორგი ვლადიმერის ძე აქტიური მონაწილე და
6. იმნაძე ლევან დავითის ძე აქტიური მონაწილე, ხსენებულები არა ერთხელ ყოფილან შემჩნეული სხვა ასეთ გაძარცვებში. პასიური მონაწილენი ე. ი. რომლებიც ხელს უწყობდენ გაძარცვის მოხდენას არიან შემდეგნი:

1. გურგენიძე ნიკოლოზ.
2. სარჯველაძე აკაკი.
3. პერანიძე ტრიფონი.
4. ვანიძე ვასილი.
5. დიმიტრიადი ნიკოლოზ.
6. ჩიქოვანი ნიკოლოზ და
7. ქორიძე აბესალომ.

ბრალდებულებს წაყენებული აქვთ ბრალდება გათვალისწინებული ს. ს. კ. 76 მუხლის 1 და 2 ნაწილი.

საქმეს განიხილავს ქართული სამხედრო ტრიბუნალი 26 იანვარს, სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ქ. № 32). შემდეგი შემადგენლობით თავმჯდომარე ნიკ. ენუქიძე.

წევრები: დ. ხიხაძე და ს. გოგიჩაიშვილი.

# ახალი ამბები

— **სახლების აღმშენებლობა.** მოსკოვის ქუჩაზე № 2 დაარსდა საბინაო-სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა.

— **ლენინის ხსოვნისთვის.** სოც. აღზრდის მთავარმა სამმართველომ გამოსცა ნახევარი მილიონი ცალი წიგნი „შრომა და ცოდნა,“ სკოლებში მოწაფეთათვის დასარიგებლათ, ლენინის ხსოვნის აღსანიშნავათ.

— **საქართველოში მევენახეობის გასაუმჯობესებლათ.** საკავშირო საფინანსო კომისარიატმა გაიღო საქართველოში მევენახეობის აღსადგენათ 150 ათასი მანეთი მიზნობრივი სესხი.

— **აკადემიური თეატრის ანგარიშები.** განათლების კომისარიატმა წინ დადება მისცა სახელოვნო კომიტეტს წარმოადგინოს აკადემიურ თეატრების ანგარიშები.

— **საბოსტნე თესლეული.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან გამოიწერა ბოსტნეულობის და სათიბი ბალახის თესლის დიდი პარტია.

— **მევენახეთა საჭიროებისათვის.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთ შეიძინა 2 ათასი ცალი სასხლავი დანა.

— **უპატრონო ბავშთათვის.** განათლების კომისარიატმა გადასცა პიონერთა ორგანიზაციებს ორი ათასი მანეთი უპატრონო ბავშთათვის.

— **სახელწოდების შეცვლა.** ტფილისის ქალაქის აღმასკომმა დაადგინა შეუცვალოს სახელწოდება საპიროთის ქუჩას.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. მარგიშვილს.** თქვენი კორესპონდენცია „ჩვენი უჯრედის ყოფა ცხოვრებიდან“ არ გავა. ასეთი უკვე დაისტამბა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. მცხეთელს.**—ლექსი „ჩვენი გუშაგი“ არ გამოდგა. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

**ამხ. ზეფრაშვილს.** ლექსი „მსოფლიო წარღვნა“ არ გამოდგა. მოგვაწოდეთ სხვა.

**ამხ. ჯლანჭს**—თქვენი კორესპონდენცია „სამი წითელი გმირი“ არ დაისტამბება, რადგან მათზე სათანადო ზომები იქნა უკვე მიღებული.

**ამხ. ათისთავ უფრ.**—კორესპონდენცია „მოგკაშორეთ ვაჭრები“ ძლიერ წვრილმანი საქმეა. არ გავა.

**ამხ. შალაშინს**—„მუშებისა და წითელ არმიელების დაახლოება“ არ დაიბეჭდება. ამაზე მოთავსდა ჩვენს გაზეთში.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

**დაკარგე** სასურსათო წიგნაკის მოთხოვნილების ფურცლის ასლი, რომლითაც ქართული დივიზიის შტაბის სახელზე მიღებული იყო შვიდი ფუთი ხორცი. წიგნაკის ნომერი № 117. ფურც № 12. ჩაითვალოს გაუქმებულად.

მეკუჭნავე **მ. სიხარულიძე.**

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**ტუბერკულიოზით (ჭლექით) დაავადმყოფებული კვერცხები.**

ქათმები ხშირად არიან დაავადმყოფებული ტუბერკულიოზით. გერმანიის ახალი სტატისტიკური ცნობების მიხედვით ყოველი 459 ქათმებიდან 118 ტუბერკულიოზით არის დაავადმყოფებული, მაგრამ ტუბერკულიოზის ჯოხები, ბაცილები, მოკალათებული არიან ქათმის ხორცში და კვერცხებში.

გერმანიაში ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ტუბერკულიოზით ავადმყოფობა უმთავრესად გავრცელებულია იმ ხალხში, რომლებიც მისდევენ ქათმების მოშენებას. ეს საკითხი დაწვრილებით შეისწავლა ექიმ ლევენშტეინმა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჭლექი ვრცელდება ქათმების მომშენებლებში არა, ქათმის ხორცის საშვალებით, არამედ მათი კვერცხებით. უმთავრესად, კარგად მოხარშულ ქათმის კვერცხმა და ხორცში, ჭლექის ბაცილები იხოცებიან ძლიერი სიცხის გამო. მოთოლხოებულ ან სრულიად უმ კვერცხში, ბაცილები მშვენივრად გრძნობენ თავს და ადვილად შეჰყრიან ამ უკურნებელ სენს ადამიანს. ფრინველის ტუბერკულიოზის ბაცილები, რამოდენიმედ განსხვავდებიან ადამიანის ტუბერკულიოზისაგან.

ფრინველების ტუბერკულიოზის თავის სახე სხვანაირია. განუწყვეტელი მაღალი ტემპერატურა, გადიდებული ტყლიპი, ფილტვებში ჭლექს სრულიად არავითარი ნიშანწყალი თირკმლების და ძვლის ტვინის ძლიერი დაავადმყოფება.

**ღვიძლისაგან განკურვნის ახალი საშუალება.**

ერთ იტალიელ ექიმს უკვე დაუწყია თავისი ახალი პრეპარატიის (წამლის) გამოყენება ღვიძლის წინაამდეგ. წამალს ეს ექიმი უშხაპუნებს ავადმყოფის სისხლის მიმომქცევ მილებში. (ვენები).

ეს წამალი წარმოადგენს ეგრედ წოდებულ სილიციუმიანი მჟავის ნატრიუმის ნახევარ პროცენტიან ხსნას. ამპრეპარატით აქიმობა მით არის საყურადღებო, რომ ადამიანის სისხლი მისი შემწეობით იძენს ერთგვარ თვისებას, და შემდეგ ის საწამლავივით მოქმედებს ღვიძლის ბაცილებზე.

**უშვილოსნობისაგან მორჩენა.**

ხშირად ქალებს, რომ შვილი არ უჩნდებათ, ეს გარემოება მიეწერება იმას, რომ საშვილოსნოსა და კვერცხებს დამმზადებელ ორგანოებს შორის შემაერთებელი მილი გაუვალია, ე. ი. დედაკაცის თესლი ვერ ჩადის საშვილოსნოში. მას საშვალება არა აქვს შეუერთდეს მოწინააღმდეგე სქესის თესლს. შვილის უყოლობაც ამის ბრალია უკანასკნელ ხანებამდე ამ მოვლენის წინააღმდეგ მედიცინამ იცოდა ერთი საშვალება: საკვერცხესა და საშვილისნოს შემაერთებელ მილის გამოწმენდა, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ იძლეოდა დამაკმაყოფილებელ შედეგებს.

ამ უკანასკნელად ამერიკელ გინეკოლოგს (ქალთა ავადმყოფობის ექიმი სპეციალისტი) მოუმართავს შემდეგი ხერხისთვის. მას პირდაპირ გადაუსვამს საკვერცხე თავის ბუნებრივი ადგილიდან საშვილოსნოს აპკში, რასაც დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოუღია. მას არა ერთი და ორი ათეული ავადმყოფი ქალები განუკურნავს ასეთი გზით.

**კარბულის სიმჟავე ჭლექის წინააღმდეგ.**

იტალიელმა ექიმმა უკვე გამოიყენა ეგრედ წოდებულ „მილიალურ“ ტუბერკულიოზის წინააღმდეგ კარბულის სიმჟავე.

მილიალური ტუბერკულიოზი ისეთ ტუბერკულიოზს ეწოდება, რომელიც მთელ სხეულში დაბნეულია და სხვა და სხვა ადგილზე იჩენს თავს. ხსენებულმა ექიმმა უკვე განკურნა 14 ავადმყოფი. კარბულის სიმჟავის ძლიერ მცირე პროცენტი, რომელიც გახსნილია ფიზიოლოგიურ მარილში მან შეუშხაპუნა ავადმყოფის სისხლში. შედეგათ ექიმმა მიიღო ავადმყოფების თანდათანობით გაუმჯობესება.

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1200.